ფასი 10 კაპ.

9 თებერვალი 1930 წ.

წლიწადი მეშვიდე

ტარტაროზი

№ 6 (242)

ნახ. ნადარეიშვილის

საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР
12 547



პეტრე პენტერაძეს დღის თერთმეტ საათზე გამოეღვიძა. თორმეტის ნახევარზე კი სამსახურში სხდომა ჰქონდა დანიშნული.

— ეს, დამგვიანებია!—წყენით წამოიძახა მან. საწოლიდან წამოიტა და სამსახურში წასასვლელად დაიწყო მზადება. გულში კი თავის თავს უკმაყოფილებას უცხადებდა:

— შე ვირის თავო, შენა, ყოველ ღამე რომ სახლში გათენებისას ბრუნდები, არ იცი რომ სამსახურში დაიგვიანებ?!

რამდენ გასტროლიორს ვახშამს გაუმართავენ, რამდენი დირიჟორი, რეჟისორი, მოწლერალი და მოცეკვავე ქალი ვახშმით დაგპატიჟებს, ყველგან თუ შენ იარე, სწორედ რომ გაკეთდება შენი საქმე. კარგი ცხოვრება კარგია, ჩემო პეტრე, მაგრამ ცოტა ჭკვით უნდა იყო. საჭიროა ზომიერება, თორემ ხომ იცი, გაიხრწნები და პარტიიდანაც გამოგაგდებენ. თუმცა ყველამ იცის, რომ არტისტები სხვა ხალხია—უარს ეტყვი და ყოყოჩობას დაგწამებენ, იტყვიან: უფროსია, და არ გვაკადრულობსო.

პეტრემ ელსმენის მილი ხელში აიღო და თავის მდივანს დაურეკა.

— რაო, ყველა მოვიდა? უთხარი მათ, რომ საპატიო მიზეზის გამო მაგვიანდება და მალე მოვალ.

როცა პეტრე სამსახურში მივიდა, პირველი საათი იყო.

— დაიგვიანე, ამხანაგო პეტრე!—წაჰოიძახა ერთმა.

— ამდენი დაგვიანებაც არ შეიძლება!—უკმაყოფილოთ სთქვა მეორემ.

— ამხანაგებო, ჩვენ მარქსისტები ვართ, დიალექტიური გაგებით მოვლენა უმიზეზოთ არ შეიძლება. ჩემს დაგვიანებასაც თავისი მიზეზი აქვს, მიზეზი საპატიო. ბევრი თქვენგანი მას იცნობს.

— ვიცნობთ, ვიცნობთ!—გაისმა ხმები.

— მაშ, ეხლა მაინც ნუ ვაყოვნებთ. ნება მომეცით სამხატვრო საბჭოს სხდომა გახსნილათ გამოვაცხადო.

ამხანაგებო, დღევანდელი სხდომა გაგრძელებაა იმ სხდომის, რომელიც გაგრძელება იყო წარსულ წელს მოწვეულ და გადადებულ სარეპერტუარო საბჭოს სხდომისა.

დღევანდელ სხდომაზე გრძელდება კამათი იმ მოხსენების გარშემო, რომელიც მე გავაკეთე ჩვენი სახელოვნო საკითხების შესახებ ამ ერთი წლის წინათ.

თქვენ ალბად გახსოვთ ჩემი მოხსენების მთავარი თეზისები.

მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ, რომ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ანტიპროლეტარული, ანტირევოლიუციონური და ბურჟუაზიულ-მეშჩანური შეხედულებაა ხელოვნებაზე.

ჩვენ, მარქსისტებს, რომლებიც ამავე დროს ანტიიდეალისტებიც ვართ, არ შეგვიძლია ასეთი შეხედულება მივიღოთ და ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ის განვახორციელოთ. ჩვენი შეხედულება ცხადია არის ანტიბურჟუაზიული და ამავე დროს მარქსისტული. ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ხალხისათვის, მშრომელ მასებისათვის. ვატარებთ თუ არა ასეთ შეხედულებას ცხოვრებაში?

დიახ, ვატარებთ.

ჩვენი გაზეთები კი, კერძოთ კომკავშირელების, და თანამედროვე „კირტიკოსები“ ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ, და ცილს გვწამებენ, თითქოს ჩვენ თანამედროვე ხელოვნებას არ ვქმნიდეთ, თითქოს არ ვაწვდიდეთ მასას ამ ხელოვნებას, თანამედროვე საზოგადოებრივ აზრს გაურბოდეთ და სხვა-და სხვა. ასეთი ბრალდება ცილისწამებაა. მათ ნიშანში ამოუღიათ ოპერის თეატრი და არ ეშვებიან მას. მე ვერ გამიგია, რა დაუშავა ოპერის თეატრმა? მათ, ალბად, არ იციან, რომ ოპერის გარევოლიუციონერება არ შეიძლება. სად ოპერა და სად რევოლიუცია!

ადგილიდან: გაკონტრრევოლიუციონერება ხომ შეიძლება?

— ვიმეორებ, ოპერა არც რევოლიუციონური და არც კონტრრევოლიუციონური არ შეიძლება. ოპერა—ოპერაა.

ადგილიდან: ესე იგი: ოპერა ოპერისათვის?

— ამხანაგო ვანო, მე მესმის შენი „მუცლის ტკივილი“, შენ კომკავშირის წარმომადგენელი ხარ, შენ დღეს გინდა სოციალიზმის დამყარება, ეს კი ხაშში გადახრაა.

ადგილიდან: ზრუნავთ თუ არა თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელათ?

— ამხანაგო, შენ მუშა ხარ და მუშურათ აყენებ საკითხს, თუმცა ობიექტიურ პირობებს არ უწევ ანგარიშს. მართლა და საჭიროა შევქმნათ თანამედროვე რეპერტუარი, მაგრამ ეს საქმე იოლი არ გეგონოთ... ხელოვნებას, ამხანაგო, ალბად თქვენ ცუდათ იცნობთ; ხელოვანი უბრალო ადამიანი ხომ არ არის... მწერალს ვერ ვეტყვით: შეუძლია თუ არა, რევოლიუციონური პიესა დაგვიწეროს...

ადგილიდან: ატარებთ თუ არა პარტიის პოლიტიკას ხელოვნებაში?

— ამხანაგო სიკო, შენ პარტიის წევრი ხარ და მიკვირს შენგან ასეთი შეკითხვა. გინა ვერ ხედავ, ვატარებთ თუ არა?

ადგილიდან: დიახ, ვხედავთ და მიტომ გეკითხებით!

— პარტიის პოლიტიკას ხელოვნებაში კარგად ვიცნობ, მარა პარტია იმას კი არ ამბობს, რომ დღესვე გავატაროთ მისი პოლიტიკა, ან ყველგან ერთნაირათ გატარდეს ის... ჩვენში მისი გატარება, მაგალითად, ძნელი საქმეა, თითქმის შეუძლებელიც.

ადგილიდან: ოჰო, ოჰო!

— ჰო, და ამხანაგებო, მე ვამტკიცებ, რომ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ყოვლად მიუღებელი შეხედულებაა ჩვენთვის... საჭიროა ხელოვნება მასისათვის, საჭიროა ახალი თანამედროვე რევოლიუციონური, პროლეტარულ ხელოვნება.

ადგილიდან: ამზადებთ თუ არა ახალ კადრებს?

— მოითმინე, ამხანაგო, ეს საკითხი დღის წესრიგში გვიდგას. ამხანაგებო, ჩვენი პარტიის დადგენილება მხატვრული ლიტერატურის შესახებ, გარკვევით ამბობს, პროლეტარული მწერლობის გეგემონიაზე, რაც იგივე შეიძლება თქვას ხელოვნების შესახებ საზოგადოთ.

მაგრამ პარტია იმას კი არ ამბობს, რომ დღეს შეიძლებოდეს პროლეტარულ ხელოვნების გეგემონიის გამოცხადება...

ადგილიდან: ვიცით რასაც ამბობს პარტია, პარტია მოგვიწოდებს პროლეტარულ ხელოვნების შექმნისათვის, თქვენ კი...

— ამხანაგებო, სიკო ამბობს, რომ პარტია მოგვიწოდებს პროლეტარულ ხელოვნებისაკენ, ეს მეც ვიცი, მაგრამ ხელოვნება უბრალო საკითხი ხომ არ არის... ეს ხომ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არაა! გაიგეთ, ამხანაგო, რომ ხელოვანი უბრალო ადამიანი არ არის.

ხმები ადგილიდან: ციური ნიჭითაა დაჯილდოვებული? ზეკაცია ხომ?

პეტრე საათს დახედავს.

— ამხანაგებო, ოთხი საათია, სხდომა უნდა გადავდვათ.

ხმები: გადავდვათ, გადავდვათ.

— ამხანაგებო, ერთი წლით მოსკოვში მივდივარ, როცა იქიდან დავბრუნდები, სხდომას მოვიწვევ. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ მარქსისტები ვართ და ანტიმარქსისტულ შეხედულებას ხელოვნებაზე „ხელოვნება ხელოვნებისათვის“—ვერ გავიზიარებთ. „ხელოვნება მასისათვის“—აი ჩვენი დევიზი.

პეტრემ სხდომა დახურა.

სიკოს და ვანოს უკმაყოფილება ეტყობოდათ.

ყუმბარა.

რუსთაველის თეატრის

მეგობრული ფოტო

მთავარი რეჟისორი — ალექსანდრე ახმეტელი

სამხატვრო ნაწილის გამგე — საშა ახმეტელი.

თეატრის დირექტორი — სანდრო ახმეტელი

თუ გაფრინდა!..

ჩემმა ცოლმა ანგელინამ,
გამიჩინა ჯიბის ჭლექი,
რად არ გაქრა ის წუთები,
მე მასზე ფიქრს შეუდექი.
შევეუღლე - ვემეგობრე,
თუმცა მქონდა ჯიბე თხელი,
არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც
გაეწოდოს ჩემთვის ხელი.
ოპერაში და დრამაში
მიმოფრინავს, როგორც გედი:
კინოებსაც არსად უშვებს
და ღულუნებს, როგორც მტრედი,
ოპერაში ვნახე ლელი
ახალგაზრდა დირექტორი,
მომეწონა მასთან ერთად
კავალერი, კოხტა ორი. —
— მოყვებოდა კიდევ მრავალს
თუ ვინ როგორ გააცილა,
ჯიბე დამიჭლექიანა,
და სიმშვიდეს დამაცილა.
„სჩეტოვოდი" ვიყავ ვინმე
ჯამაგირი მქონდა მცირე,
ახ ოპერავ სასიკვდილოთ
დანა გულზე დამაჭირე.
აღარ მეყო ჯამაგირი
მის ჩაცმა და დახურვისთვის,
ახმეტელო, ჩემი ცოდვა
ანზორს აბა დგამდი რისთვის?
ვერ გაუძელ ცოლის ხარჯებს
სათეატრო - საოპეროს,
თავს დავიხრჩობ ისევ მტკვარში
მითხარ რაღამ შემაჩეროს!
ჩემი ცოლის გადამკიდე...
რის ოპერა, ან რის დრამა,
ერთხელ თვალით არ მინახავს
არ „წამიწყდეს" ჩემი მამა.
აბონემენტს არ ვინაღვლებ
არც გაფხეკილ ჩემსა ჯიბეს,
დრამებმა და ოპერებმა
ცოლი თუ არ გამიფრინეს.

მანი.

მეგობრული შარჟი



ამხ. კიტა მეგრელიძე (ოპერის თეატრის სამხ. საბჭოს თავ-რე):— ოპერის გარევოლიუციონერება განა შეიძლება!? არ ესმის ამ ხალხს... მე ევროპაშიაც კი ვყოფილვარ. იქაც არ მინახავს რევოლიუციონური ოპერა.

საესტრადო

ამ ტფილისში რას არ ნახავს
ჩამოსული გლეხის თვალი,
აქაურ ქალს თუ შეირთავ,
დაგედება ქვეყნის ვალი.
როგორც სხვებმა მეც ვნახე,
ყველა კუთხე - უბანი,
ოპერაში შესვლა თურმე
დაგიჯდება თუმანი.
კლუბში ჩუმბურიძე მღერის:
„ინდი-მინდი ფერად შინდი",
ლატარიაში ჩერეონცად
ნოეიკ პაპალ პეროჩინი.
ელიოზიშვილმაც იქვე,
სიმღერით მისცა დასტური:
„მადლობა ღმერთს" „მარტო
დავრჩი",
„ეშო ბუდიტ დვე ხალტური",
მესხიშვილის ქალიც მღერის:
„შემიყვარდა იმე ბეჩა".
პრიკაზჩიკებმა შეყლაპეს,
რაც კი ერკოპს ბრინჯი შერჩა.

ძია ვასო.

მზადდება „ტარტაროზი"-ს
სპეციალური ნომერი

საქართველოს

გასაბჭოებაზე

თანამშრომლებს ვსთხოვთ
მოგვაწოდონ მასალები

ნაცნობების შეხვედრა

მეგობრული შარჟი

ნახ. დონის



კოტე მარჯანიშვილი (კოტე მარჯანიშვილს):
— ზდრავსტვუი კოტე! ტი ატკუდა?
— გაგიმარჯოს! ია ტოლკო ჩტო იზ ბატუმა. ა ტი კუდა?
— ია ვ ბატუმ იზ კუტაისა!

სცენა 'სატირის თეატრში

სცენა წარმოადგენს ხელმძღვანელის ოთახს. მაგიდასთან ზის ახალგაზრდა ხმელ-ხმელი კაცი. შემოდის ახალგაზრდა ქალი.

ქალი—უკაცრავათ. სატირალის თეატრი აქ არის?

ახ. კაცი—რაო? „სატირალის" კი არა, სატირის!

ქალი—ჰო, სულერთია, სატირის აქ არის?

ახ. კაცი—აქ არის! რა გნებავთ?

ქალი—მე დელეხტორი მინდა ან რეჟისორი ან რომელიმე მსახიობი ვნახო...

ახ. კაცი—ჰო. მე ვარ ყველაფერი. რა გინდათ?

ქალი—მე თამაში მინდა.

ახ. კაცი—თამაში, მერე ვინ გიშლით, ითამაშეთ. დაუკრა ტაში?

ქალი—მასეთი თამაში კი არა, სცენაზე თამაში, არტისტკობა მინდა...

ახ. კაცი—ჰოო... თქვენი ამპლუა?

ქალი—პამპულაც ხარ და მეტიც. რას ილანძღები?

ახ. კაცი—არა, ქალო, რისი თამაში შეგიძლიათ, ესე იგი...

ქალი—რისი და აი თქვენთან დაირის, ბუზიკის, დეპლიპიტოს და ამისთანეების დამკვრელი გინდათ გავიგე და მეც ვიცი მასეთ საკრავებზე დაკვრა.

ახ. კაცი—ჰოო, მაშ ვნახოთ, აგერ მთავარი რეჟისორი და დირექტორი მოვა და იმას მოელაპარაკეთ!

ქალი— რაო? აკი თქვენ ახლა სთქვით, რომ ყველაფერი მე ვარ აქაო?

ახ. კაცი—ჰო, მართალია, მე ვარ, მაგრამ ბირეა საჭირო, ჯერ იქ ჩაეწერეთ, ერთი სამი ოთხი წელიწადი მოითმინეთ და მერმე ვნახოთ თუ ივარგებთ, ბირეა გადგმოგგზავნით და ჩვენც უარს არ გეტყვით.

ქალი— უი ქაა, მეხი კი დაგაყარეთ. მანემდი ხომ ხუთჯერ გავთხოვდები და მერე რაღა თმინდა მაგ თქვენი რაღაც სატირას ტრიატრია.

დათუნა.

სამტრედია

ჭირის ოფლი დაეღვარეთ,
კულტურის ბჭესთან, კარებთან!
ისევ სიკვდილი გვაშორებს,—
მიტომ ვართ მგლოვიარეთა.
ორი **კლუბი** გვაქვს, ორივეს
შემოხვევია ღრუბელი!
ღრუბელი საშინელების,
ღრუბელი დასაღუპელი.
ინვრეცა კერა შეგნების,
სწავლის და ცოდნის მხმობელი.
საყვედურების რიცხვის ხმა,
გაისმის დაუნდობელი.
სამკითხველოებს არავინ,
არ აქცევს ყურადღებასა!
როგორც საწყალი ობოლი,
სწუხს და კანკალებს სევდასთან.
ჟურნალ-გაზეთებს პატრონი
არა ჰყავს, არცა ჩყოლია? —
გამგე იცინის, ხარხარებს,
თავი თვის სახლში ჰგონია.
ცოცხალი სათუთ **სხეულზე**,
ლოდი ვინ გადაგვიგორა?!.
სირცხვილი აქეთ **ნუცასა**,
იქით **ნინიძე ბაბორას**...

ჭაგნელი ბზიკი.

თეატრის სალა-როსთან

— რა ქენი, იშოვე თუ არა ბილეთი? მოუთმენლად და თითქმის მეათედ შემეკითხა ჩემი ცოლი, რომლის სახეზედ ისეთი მოლოდინი და სიხარული იყო აღბეჭდილი, თითქოს ჩემს საკუთარ ინდუსტრიალიზაციის სესხის კუპონს ასი ათასი მანეთი მოეგოს, ან მე კიდევ მე-8-დან მე-15-ტე კატეგორიაში გადავსულიყო.

—ვიშოვი... „დავამშვიდე" ჩემი ოქროს ნახევარი.

— როგორ თუ იშოვი? განა ჯერ კიდევ არ გიშოვია?.. ცრუ!.. საზიზღარი!.. სულ ეგრე მატყუებ, იმედებით მკვებავ!.. ღმერთო, რად ჩამაგდე ამის ხელში. რა დავაშავე ასეთი — დაიწყო ჩემმა „ნუგეშმა".—

—გიორგიმ სამი ბილეთი იშოვა, ვალოდიას აქვს ბილეთები. ჰე, რომელი ერთი ჩამოგითვალო, მე ვარ უბედური, თორემ სხვებს რა უჭირს...

სხვებს რა უჭირს... განაგრძო ჩემი ოჯახის „დამამშვენებელმა".

მახსოვს ჩემი ოთახი ქალაქის განაპირა უბანში მაშინ, ჩვენი მეზობლები, დურგალი თადე, მკერავი სოსო, და ზეინკალი შაქრო იყო. ტკბილად ვცხოვრობდით... მართალია ოთახი ბნელიც იყო და ნესტიანიც, მაგრამ სამაგიეროთ ჩემს ოჯახში სრული ჰარმონია სუფევდა. ვითომ დამეხმარე ალმასკრმო, რომ ნათელი ოთახი მომეცი, როგორც მშრომელს... შენი ჩემდამი დახმარებაში ეჭვი არ შემდის, მაგრამ ჩემთან ერთათ რომ ჩემი მეზობლებიც გადმოგესახლებიათ უფრო დასვენებული ვიქნებოდი და სამსახურიდან მოსულს არ დამჭირდებოდა ცოლის დამშვიდება. წყეულიც იყავი გიორგი, რომელიც ტრესტთან კავშირით აიმასქნებ ცხოვრებას, შენც ვალოდია ფეხზე მოვაჭრე და ტექსტორგის ყველა შესავალ-გამოსავლის მცოდნევ და საერთოდ ყველაწვრილ და მსხვილფეხა ნეპმანებო, რომელნიც რაღაც განგებით ჩემს მეზობლად დასახლებულხართ, თუმცა თქვენთან სამეზობლოდ არას დროს არ მოვსულვარ... თუ არა თქვენ, ჩემი ოჯახის დამამშვენი არ იფიქრებდა ოპერის პრემიერებზე წასვლას... ცოლის საყვედურით და ოჯახური დრამით აღელვებულმა გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა ბილეთების შეძენა...

დიდი ხვეწნის, მუდარის და განცხადების შემდეგ, ავიღე ავანსი და ჩავდექი რიგში, მაგრამ სალარო დაიხურა და მეორე დღისათვის გადავდე ბილეთების აღება. დიდი ახსნა განმარტების შემდეგ დავაჯერე ჩემი მტანჯველი (თუმცა მისთვის რომ გკითხათ მე ვიყავი მისი მტანჯველიც, სულთამხუთავიც და სხვა), რომ ხვალ აუცილებლად ვიშოვიდი ბილეთებს.

სამსახურიდან პირდაპირ ბილეთების ასაღებად გავწიე, მაგრამ საუბედუროთ ბილეთები აღარ იყიდებოდა. უნდა კერძო მაკლერებისაგან შემეძინა ბილეთი, რომელიც ისევ მეორე დღისათვის გადავდე. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ჩემმა სახლის „დამამშვენებელმა" ისევ უბილეთოთ მისული მნახა. მთელი ჩემი რევოლუციონური მჭერმეტყველება დამჭირდა და ძლივს ძლივობით შუაღამისას დავარწმუნე ჩემს უდანაშაულობაში, რის შემდეგ მომეცა ნება ძილისა. მაგრამ მშიერ კაცს რა დამაძინებდა. ორი დღის უსადილოს ფერდი-ფერდზე მქონდა მიკრული. ვინაიდან ჩემს სახლში სადილი არ კეთდებოდა. ბილეთების მოთხოვნილებასთან მოყვა გაფიცვა და ისეთი სწრაფი გაფიცვა, რომ ორი დღე მშიერი დავრჩი... შემოსავალ - გასავლის მიმოწერების შინაარსები— ნომრები ჩემს თვალწინ ყირამალას გადადიოდნენ. დილით ოპერას ჩავუარე, ნახევარ საათს ვიძებდი მაკლერებს, მაგრამ ბილეთი ვერ ვიშოვე... კანცელარიის გამგემ საყვედური გამომიცხადა დაგვიანებისათვის. ბედმა გამიღიმა და საღამოს ვიშოვე ბილეთები ამავე დღის წარმოდგენისათვის. რა თქმა, უნდა ორმაგ ფასში, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი არამც თუ ორმაგ ფასს, არამედ სამოვნებით აიღებდა ხელს მთელი თვის ჯამაგირზე. სახლში ფრენით მივედი. სიხარულისაგან გრძნობა მორეული გიჟივით შევარდი ჩემს ოთახში და... ჩემი მტანჯველი ყბებ ახვეული ჩამომჯდარიყო ლოგინზე.

— რა მოგივიდა? — გაკვირვებით შევეკითხე.

— ეშმაკმა არ იცის შენი თავი! — წაილუღლუღა მან. მე ბილეთი ამოვიღე და შორიდან დავანახე. მინდოდა დავმტკბარიყავი იმ სიამით, რომელიც ჩემი ქსანტიპას სახეზე აღიბეჭდებოდა... მან კი ზიზღით შემომხედა და ბრაზმორეულმა დამიწყო ყვირილი:

— შენთვის ხომ ხელად იშოვე ბილეთი?!

—შენთვის ვიყიდე ტურფავ, ალერსიანად ვუპასუხე მას, თუმცა არა ნაკლებ გაბრაზებული ვიყავი მისი ასეთი პასუხით.

— მე ხომ მხედავ, რომ კბილები მტკივა! ასე ყბებ ახვეული, ხომ ვე რწამოვალ? ახლავე წადი და გამოაცვლევინე ზეგისათვის...

ვდგევარ ოპერის სალაროსთან და გამყიდველ - გამომყიდველს ვეხვეწები ბილეთის გაცვლას.

ხომ არავის გინდათ ზეგის ბილეთზე დღევანდელის გადაცვლა?

წყეულიც იყავით პირაგოვებო, მეხთაროვებო, მაჩაბელოვებო! თქვენი ჩამოსვლით ერთი წლით მაინც ჩემი ოფლით მოპოვებული ოჯახური ცხოვრების მყუდროობა.

ხუხი

რუსთაველი რუსთაველის თეატრში

ნახ. ნადარეიშვილის

შოთა: აქ მგონი სადღაც ჩემი სახელობის თეატრია, და ხომ არ იცით სად არის?

სანდრო შანშიაშვილი:—არა, ჩემო კარგო, არ ვიცი...

„ბორის გოდუნოვზე“

ნახ. ნადარეიშვილის

— საყდრიდან ჩამოხსნილი ზარები აქ მოუტანიათ... უსაყდროდ დარჩენილ მღვდლებს თავი ყველას აქ მოუყრია... მადლობა ღმერთს, აქ მაინც მოვისმენ წირვას!

რატომ ვემდური ოპერას

თქვენ, ალბად, ფიქრობთ: იმიტომ, რომ ოპერის თეატრის დირექცია გვერდს უვლის საბჭოთა საზოგადოებრივ კონტროლს.

არა. ეს რა ჩემი საქმეა? მე საერთოდ არ მიყვარს სხვის და, მით უფრო, ამოდენა თეატრის შინაური საქმეებში ჩარევა.

— მაშ, ალბად, იმიტომ, რომ ადმინისტრაციის უყურადღებობით აუკრეფელია დებეტორებისაგან ძველი დავალიანება 14.000 მანეთამდე.

თქვენგან არ მიკვირს?! როდის იყო, რომ ვალებს ვისხენებდი, ან ვზრუნავდი მის გასტუმრებაზე!

— მაშ, ალბად, იმიტომ მოგდით გული, რომ საგასტროლოა თითქმის ყველა წარმოდგენა და გასტროლიორია ყველა, ვინც ჩამოვა სასიმღეროდ?

— არა კაცო, არც ამაზე ვიწუხებთავს. იგასტროლიოროს ვისაც უნდა, იმღეროს როგორც უნდა და რაც უნდა.

— როგორ თუ არ იწუხებთ თავს? მეტყვით, თქვენ. განა გასტროლებით უნდა დაიწყოს და დამთავრდეს სეზონი?

— აა! ალბად ბილეთების სიძვირეა თქვენი სამდურავის მიზეზი...

—არა, არც ეს არის სულ მართალი, თუმცა ნაწილობრივ მართალიც არის, არც არის და ჭეც არის და მოდი ისევ შე ვიტყვი.

...ხომ გახსოვთ სეზონისათვის სამზადისის დროს რანაირი განცხადებებით და ინტერვიუებით გამოდიოდა თეატრის დირექცია. მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ოდესის, როსტოვის და სხვ. ქალაქების ყველა საუკეთესო მსახიობები გამოცხადებული იყვენ დასის წევრებად. ყველა, ვინც კი აბონემენტს შეიძენდა, უნდა გვეფიქრა, ნახავდა უნახავს, მოისმენდა მოუსმენელს!

და მეც გავსწიე რისკი. ვიყიდე ერთი გაჯახირებული აბონემენტი. ისიც დიდი ვაი-ვაგლახით, დიდი პროტექციით. ჯერ ნერვები ამიშალა იმან, რომ აბონემენტი ყოველთვის უკანასკნელი იყო... გაიხედავდით და კიდევ გამოუშვებდენ უკანასკნელ აბონემენტს და ასე დაუსრულებლივ. ჯერ მე-7 იყო უკანასკნელი. შემდეგ მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე... მივსდიეთ მეთორმეტემდე. კარგი და პატიოსანი. ეს იყო მშრომელ ელემენტების და მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად(!)

მერე!? მერე რა გამოვიდა? გამოვიდა მეცამეტე აბონემენტი. გამოვიდა მეთოთხმეტე. იცით, რას წარმოადგენენ ეს უკანასკნელი აბონემენტები? ის გახლავთ აბონემენტები რჩეულთათვის, რჩეულ წარმოდგენებზე და რჩეულთა მოსასმენად. ამ აბონემენტებში მოჭცეული არიან. საუკეთესო მომღერლები, რომელთაც ჩვენ, უბრალო მომაკვდავნი, ჩვენი გაჯახირებული აბონემენტით როდი ვიხილავთ! რა ჰქვია ამას? „იშკილი“, თუ აფიორა?

აი, ამიტომ ვემდური ოპერის თეატრს.

სეგეირ-ბენ-შეიხ

თეატრი ოჯახში

ნახ. ქოქიაშვილის



ოპერა.

თებროს აჰყვა ჩუმ ტირილით
უმცროსი ძმა პაწაწინა.
ის ატირდა ცივ ტენორზე,
როცა დედამ დააწვინა.

ოუმცა კარგად ვერ გავიგეთ
ოპერა თუ კონცერტია, —
მაგრამ [illegible]ინც უფასოა,
და ამიტომ სულერთია.



დრამა.

ეს სურათი მარტივია
და მიხვდება ყველა ამას:
აქ ჩვენ ვხედავთ ცოლ-ქმარს შორის
გამწვავებულ ჩხუბს და დრამას.

რაც ხანია, ალბად, კოვზი
კაცის შუბლზე გადატყდება.
ეჰ, რა ვუყოთ... ეს ამბავი
ყველას თავზე ხშირად ხდება.



კინო

ხშირი არის ეს ამბავი,
უფრო ხშირი, ვიდრე ვიცით.
ერთგულებ:ს ქმარს უმტკიცებს
ცოლი მხოლოდ სიტყვით, ფიცით,

და ის, კი თვის საყვარელსა
სახლში ჩუმად დაიბარებს.
ქმ:რი მაშინ დაინახავს,
შემოაღებს როცა კარებს.



ტექსტი ზმუკის

ცირკი

რასაც ხედავთ ეს ამბავი
თქვენც იცით რომ ნამდვილია.
ფეჩის დადგმა და აღება
განა ცირკზე ადვილია? ხ.

იოსების ტკივილი

ნახ. დონის

მეგობრული შარჟი

— თქვენ, ამხანაგო იოსებ, ხუთნაირი ავათმყოფობა გქონიათ! ცუდადაა თქვენი საქმე!

— ჰაი დედასა გორელისასა! ჩემი „თეატრი და ცხოვრება“ გამომაცემინა და, მაშინ ნახე თუ ერთი ავათმყოფობა გაივლის ჩემს ტანში.

ლიანდაგ

ნახ. დოლის



„ჩინური კედელი"

(სცენარი)

ყოფა-ცხოვრებითი სურათი სახკინმრეწვის ცხოვრებიდან

დიაფრაგმიდან საერთო პლანით: სახკინმრეწვი.

დიდათ: ტრამვაის ბოძები წარწერით: გაჩერება".

ტრამვაის ვაგონი გაჩერდა სახკინმრეწვთან.

დიდად: ვაგონიდან გამოდის ახალგაზრდა ავტორი.

დიდად: ხელი სცენარით: „ჩინური კედელი".

ტრამვაის ვაგონი დაიძრა.

ავტორი სახკინმრეწვის ეზოს ჭიშკარში შედის.

დიდად: მილიციელი.

ჭიშკრისკენ უცბად გაექანა.

დიდად: მისი მრისხანედ მოლაპარაკე სახე:

„არ შეიძლება „უპროპუსკოთ"...

ავტორი კომენდანტის კაბინეტთან.

დიდად: მისი საწყალი და მთხოვნელი სახე.

დიდად: კომენდანტის ხელი სწერს: „გაუშვით".

დიდად: ავტორის ბედნიერი სახე.

ავტორი არბის კიბეზე საფეხურების გამოტოვებით, (გადაღება უკანიდან).

პანორამით: სასცენარო განყოფილება.

გამგე სცენარებს სწონავს სასწორზე.

დიდად: სასწორზე 10 ფუთიანი გირი.

დიდად: სათვალებიანი მომღიმარი სახე.

ავტორი შემოდის.

გამგეს (სათვალებიანი კაცი) უდგენს სცენარს.

დიდად: გამგის ირონიულად მომღიმარი სახე.

ავტორი პირჯვარის წერით გამოდის.

დიაფრაგმა.

დიაფრაგმიდან:

სამხატვრო საბჭოს სხდომა.

ზოგიერთ წევრებს სძინავთ.

ზოგიც ეხლა ათვალიერებს სცენარს.

დიდად: რამდენიმე ფურცელი ერთად გადაიშალა.

ჩქარი ამერიკული მონტაჟით:

ავტორი ოთახში ბოლთას სცემს.

პაპიროსს პაპიროსზე ექაჩება.

დაფიქრდა:

ჩერვონცები მოფრინავენ (გადაღება ორმაგი ექსპოზიციით).

გაუხარდა.

პაპიროსი „დად-კაცურად" გააბოლა.

უცბად შეხტა სიმწრისაგან.

დიდად: პირში პაპიროსი ცეცხლმოკიდებული ბოლოთი.

დიდად: დამწვარი ენა.

ისევ სამხატვრო საბჭოს სხდომა.

სათვალებიანი კაცი სცენარზე მოხსენებას აკეთებს.

თავმჯდომარე კენჭს უყრის.

საბჭოს ჩამოძინებული წევრები ხელს სწევენ.

დანარჩენები არა.

სათვალებიანი კაცი უფრო მეტად იღიმება.

ავტორი მორბის.

ოფლი ჩამოსდის.

შევარდება სახკინმრეწვში.

სათვალებიანი კაცი ღიმილით ფურცლავს დაწუნებულ სცენარს.

შემოვარდება ავტორი.

დიდად: სათვალებიანი კაცის მომღიმარი და ავტორის გაშეშებული სახე.

დიაფრაგმა.

ჭინჭარი.

ნახ. დოლის



გუგუნეგს



კინო-სტუდია

სურათი პირველი

მილიციელი: —გეუბნებით ოჩერედებში დადექით, მასე არ შეიძლება.

კომენდანტი:—(სარკმელიდან) უკან დაიხიეთ, ამხანიკებო ცოტა, რა ამბავია!

პირ. გოგონა:—უკაცრავად, მე მინდა კინო- არტისტკა გავხდე, ჩამწერეთ კინო-სტუდიაში.

კომენდ:—ანკეტა შეავსეთ? ყველა მოწმობები გაქვთ? საიდან ხართ?

გოგონა:— მე ქუთაისიდან გახლავართ. ვგრძნობ, დიდი მომავალი მაქვს —მინდა კინო-ზვეზდა გავხდე.

კომენდ:—კაი დაგემართოს, კაი სურვილი გქონია.

მეორე გოგონა:—(პირველს) იქით დაიხიე... კომენდანტო, მე უფრო მოვუხდები კინოს. აი, ჩემი ანკეტა. ფოთიდან გახლავართ სპეციალნად.

მე-3 გოგონა:—მე სენაკიდან ჩამოვედი და მინდა კინო-არტისტკა გავხდე.

გოგონები:—ჩვენც, ჩვენც გვინდა კინო-არტისტკები გავხდეთ.

ჩოხოსანი—რა იყო თქვე დალოცვილებო. თაფლი ხო არ არის, რომ დახვევიხართ ამ საწყალ კომენდანტს! ამბ. კომენდანტო, მე, შენი ჭირიმე, ნამდვილი ტარიელი ვარ, მიმიღეთ კინოში. ღმერთივით ვითამაშებ მე და ჩემმა ღმერთმა.

ლეკურიანი:—რაშია, ბიჭო, მანდ საქმე? თუ ჩხუბზეა საქმე. დედას გიტირებ თყველას, მოკვდეს კოწო, თუ არტისტობაში ჩამოგივარდეთ.

ხანჯლიანი:—ხაბარდა, გამიშვით. გამიშვით, თორემ ჩემს ღრმეთს ვფიცავ, გამოგფატრავთ ყველას.

კომენდ.:—ამხანიკებო, გეუბნებით, რომ მეტი ანკეტა არ არის.

მილიც.:—ანკეტერები არ არის, დაიფანტეთ.

თავადი:—(მოვარდება ცხენით) მე გეახელით შორეულ სოფლიდან, გევიგე, რომ კინო-სტუდია იხსნება და მინდა შიგ ჩევეწერო. ძველი თავადი გახლავართ და კაი ვაშკაცი. მოიტა თუ კაცი ხარ ერთი ანკეტა ჩემთვის და ერთი ჩემი ცხენისათვის. ესეც მინდა ჩავწერო კინო-სტუდიაში და არტისტობა ვასტავლო.

სურათი მეორე

კომის. წევრი:—თქვენი გვარი?

ქალი:—კინოშვილი.

კომის. წევრი:—კინემატოგრაფიული გვარი გქნოიათ, აბა, ერთი ეს მითხარით: ვთქვათ, რომ თქვენ დიდ ხნის უნახავი შეყვარებული ნახეთ. რას იზამთ?

ქალი:—უიმე, ბეჩა, რავა რას ვიზამ! ჩავეხვევი კისერში.

კომის. მე-2 წევრი:—სწორია, თავისუფალი ხართ. შეგიძლიათ მიბრძანდეთ. (პირველი ქალი გადის, შემოდის მეორე).

კომის. წევრი:—რას იზამდით თქვენ, რომ უცებ ქმარი მოგკდომოდათ?

მეორე ქალი:—უიმე, დედა, ვიტირებდი ცხარე ცრემლებით, დავასაფლავებდი, ვიგლოვებდი და მერე დარდის გადასაყრელად, მეორეს გავყობოდი.

კომის. წევრი:—ყოჩაღ. სინამდვილეა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ, შემდეგი.

მესამე ქალი:—ოი, კაკ სტიდნო, ია ტოლკო ვ ტრუსახ. იზვინიტე პოჟალუსტა.

კომის.წევრი:—არა უშავს. როგორ მოიქცეოდით თქვენ, რომ ქმრისათვის ღალატის დროს შეგესწრო?

ქალი: —ისე გავწიწმატდებოდი, რომ სულ წვერებს დავაგლეჯდი. შემდეგ წავიდოდი და მეც ვუღალატებდი. ვოტ ი ესიო. რასჩოტში ვიქნებოდით.

კომ. წევრი:—სწორია, თავისუფალი ხართ. შემდეგი (შემოდის ვაჟი). რას იზამთ თქვენ, რომ უცებ ცოლის სიკვდილი გაიგოთ?

ვაჟი:—თუ მიყვარს ქე ვიტირებ, თუ არა და გამეხარდება.

კომ. წევრი (მეორე ვაჟს):—თქვენ რას იზამდით, ამხანაგო, რომ ცოლს თქვენთვის ეღალატნა?

ვაჟი:— ერთი მაგრად დავადებდი ქეჩოში, ვკრავდი პანღურს და გარედ გავაგებდი. დანარჩენი თქვენც იცით.

ვირთხა.



ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲟᲘ

ᲜᲐᲮ. ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲞᲐᲕᲚᲝᲕ - ᲐᲠᲑᲔᲜᲘᲜ:
ᲞᲐᲕᲚᲝᲕ (ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ):—ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ!
ᲐᲠᲑᲔᲜᲘᲜ (ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ):—ᲡᲘᲩᲣᲛᲔ!

ᲞᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

უნდა აღინიშნოს, რომ ოპერის მთავარი გმირები: გერმანე და ლიზიკო მსახიობებმა კარგად გადმოგვცეს.

მაგ.: როცა გერმანე მღერის: „ტრი კვარტი, ტრი კვარტი, ტრი კვარტი“-ს მთელი დარბაზი განაბული უსმენს. ეს ადგილი მსახიობმა ისე კარგად შეასრულა, რომ ჩემს გვერდით მჯდომმა ჩამოძინებულმა მოქალაქემ (ეტყობოდა „გადაკრულში“ იყო), ჩაესმა თუ არა ეს არია, მაშინვე თვალები ჭყიტა და გამოფხიზლებული ზეზე წამოვარდა ყვირილით:

— რაო?! ტრი კვარტიო? მოიტანეთ! ჩამოდგით!

მოქალაქე ძლივს დავარწმუნეთ, რომ ის ოპერის თეატრში იყო და არა რომელიმე სამიკიტნოში.

ასეთივე საუცხოოა ოპერაში ის ადგილი, როცა ლიზიკო უკანასკნელ მოქმედების პირველ სურათში ქვიტკირის მოაჯირიდან თავის დასახრჩობად მტკვარში ვარდება. (რეჟისორს და მხატვარს კარგად აქვთ გადმოცემული მტკვრის ნაპირები მეტეხთან).

დასასრულ უკანასკნელ სურათში უნდა აღინიშნოს გერმანეს მიერ „ოცდაერთი“-ს დახელოვნებული თამაში: მან ბანკში ჩასდო 40.000 მანეთი და მოიგო, გააკეთა ოცდაერთი (ტუზი, სამიანი (პიკის ქალი) და შვიდიანი). რა თქმა უნდა, აქედან ჩვენმა მფლანგველებმა ისეთი დასკვნა არ უნდა გამოიტანონ, რომ ისინიც მოიგებენ კარტის თამაშში.

კარგია ფინალიც, როცა ამხანაგებს თვითმკვლელობის შემდეგ გერმანეს გვამი მიაქვთ ტფილისის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მიღწევა ამ ოპერაში: სპექტაკლის დასრულების შემდეგ აპლოდისმენტზე გამოდის მკვდარი გერმანეც.

ᲮᲘ—ᲚᲘ.

ᲐᲜᲢᲘ-ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ

დედა ჩემი ძველი ქალია. მასში ჯერ კიდევ სავსებით არ აღმოფხვრილა მატყუარა რელიგიის შთაგონება. სამი წელია არ მენახა. ტფილისს მესტუმრა. ვდაობდით, ვუმტკიცებდი — ღმერთი არ არის-მეთქი. რომ უფრო დარწმუნებულიყო ამაში, ვცდილობდი ანტირელიგიურ საღამოზე ხშირად წამეყვანა.

ერთი ასეთი საღამო პროფსაბჭოს დარბაზში გაიმართა. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დედაც წავიყვანეთ. მოვისმინეთ ანტირელიგიური მოხსენება. კარგი იყო.

გაიმართა საკონცერტო განყოფილება.

—ამხანაგებო, ახლა იმღერებს მომღერალი ელიოზიშვილი ანტირელიგიურ სიმღერებს! — განაცხადა კომფერანსიემ.

— ყოჩაღ ელიოზუშვილი, რომ ანტირელიგიური სიმღერები მოუმზადებია!—ლაპარაკობდენ დამსწრენი.

— დედა, არ გაგიგონია ელიოზიშვილი? ის მომღერალია. აი, ის არის! — გავაცანი დედას ელიოზიშვილი გამოსვლისას სცენაზე.

—მე ვიმღერებ მესტვირულს „არსენას“! — განაცხადა მან და დაიწყო:

შაირ სიტყვითა მესტვირემ
ღმერთი მაღალი ახსენა
ღმეერთმა მოგცეს გამარჯვება
ოძელაშვილო არსენა.

დედა ჩემი ზეზე წამოიწია, თვალებში უკმაყოფილოთ შემხედა და მითხრა:

— არა გრცხვენია, შვილო, მატყუებდი? ღმერთი თურმე ყოფილა, ხომ ხედავ ანტირელიგიურ საღამოზე განსაკუთრებული მომღერალი მოუწვევიათ, რომელიც სულ ღმერთის ქებაშია!

ძალაუნებურად გავწითლდი.

ᲢᲐᲑᲠᲘᲖᲘ.

„ორი ცხოვრება“

(შეხვედრა ჯიბგირთან)

უნდა გითხრა, რომ რაც ტფილისის კინოებში სეანსებში დაიწყეს ხალხის შეშვება და უანტრაქტოთ ნაწილების ჩვენება, ძალზე მოსაწონია, განსაკუთრებით ჩემთვის, რადგან ცოლთან „სკანდალს“ თავი დავაღწიე.

წინეთ თუ ცოლს ვეუბნებოდი—სხდომებზე დავდივარ-მეთქი, ნამდვილად კი კინოში დავდიოდი, ხელად დამიჭერდა ტყუილებში, რადგან კინოში მყოფი თავის მეზობელი ქალები მაბეზღებთენ ცოლთან. ახლა კი შეხვალ თუ არა კინოში, დაწყებისას ჩააქროებენ სინათლეს და სანამ სურათი არ გათავდება, გინდ სკამზე დაიხრჩვე, ვინ არის გამკითხავი, ელექტრონის ანთება აკრძალულია. გათავდება, თუ არა სურათი, მაშინვე გარედ გამოვდივარ, რომ არავინ დამინახოს და ცოლთან არ დამაბეზღოს.

ამას წინეთ „მინიონში“ მიდიოდა კინოსურათი: „ორი ცხოვრება“.

ერთნაირ ცხოვრებას ორმაგი და მრავალფერი ცხოვრება სჯობია. ამიტომაც დავეხარბე ამ სურათის ნახვას.

ხალხი ერთმანეთს აწვება, სამნაირი რიგია. კინოს გამგე ილიმებოდა თავისთვის, მას უჭირია ამდენი სტუმრები. (ალბად ეს იყო მიზეზი, რომ ბილეთებს ჯერ თავის ნაცნობებს აძლევდა).

როგორც იყო სამი საათის რიგში დგომის შემდეგ მივუახლოვდი სალაროს. მიუახლოვდა ჩემ საკუთარ სალაროსაც ვიღაც გალსტუკიანი და ის იყო რომ ჩემს ჯიბიდან საფულე ამოაცოცა,—ვეცი. ზრდილობიანად ბოდიში მოიხადა უკაცრავად, ჩემი ჯიბე მეგონაო. გავცბარდი: აი შე ჯიბგირო დავიყვირე.

— ვინ? მე ვარ ჯიბგირი?! აი, შეხედეთ ცილი დამწამა!—დაიწყო ღრიალი.

ხაკმე იქამდე მოატრიალა, რომ ხალხში ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქოს მე ვიყავი ჯიბგირი. გავწითლდი. დავანებე თავი. ამ დავაში ბილეთებიც გათავდა.

გავბრუნდი შინ. ჯიბგირი წამომყვა თან. გაუსწორდი კომუნარების ბაღს.

— გამისწორდი ყმაწვილო!—ეს ,ი მითხრა და ერთი ისეთი მფეთქა სახეში, რომ ჩემი სათვალეები ნამსხვრევებად იქცა. შუბლზე წითელი ზოლი დამაჩინა, როგორც იყო მეეზოვემ გაგვაშორა ერთმანეთს.

მივედი შინ

— რა მოგივიდა, ბოშო?—მკითხა ცოლმა,

— არაფერი, სხდომაზე უკმაყოფილება მოგვივიდა აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს. დავამშვიდე და თან მეც დავმშვიდდი, რომ ჯიბგირს საფულე დავატოვებინე.

მაგრამ ეს სიმშვიდე დილას ტრაღედიათ გადაიქცა, როცა პურის ფული მომთხოვა ცოლმა. ჯიბგირს თურმე სულ გავეწმინდე და მარტო საფულე ღა მომცა უკან.

— სხდომაზე ფული ხომ არ გადაგახდევინეს!—ირონიით შეშეკითხა ცოლი. რაღა უნდა მეპასუხნა, ამ დღიდან დაწყებული ძალაუნებურად „მინიონის“ წინ გავლისას, ჯიბეზე ვაჭერ ხელს, რომ ასეთი შემთხვევა კიდევ არ მომივიდეს, თორემ „ორი ცხოვრება“ კი არა, ერთიც აღარ შემრჩება.

ივანიკა.

ნახ. დოლნის

შოთა (შანშიაშვილს):—ეი, სად მოხვალ შე ჩემა...

ხელოვნების ქრონიკა

წირვის დროს

„ბორის გოდუნოვში“ წირვის დროს გული შეუწუხდა სამ ბერს და ოთხ მონაზონს. მიზეზი ეკლესიებისა და ზღვდლების სიმრავლეა სკენაზე.

ოპერის დაკარგვა

აკადემიური ოპერის დირექციას დაეკარგა ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ამაო ლოდინი

მუშათა უბნებში დიდი ხანია მოელიან აკად. ოპერის და დრამის თეატრების გასტროლებს.

მოწვევა

ვინაიდან ოპერაში უმეტესი დადგმები რელიგიური ხასიათისაა, ამიტომ ოპერის დირექციამ გადასწყვიტა ორკესტრისა და გუნდის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნეს ტფილისის რომელიმე დამსახურებული დეკანოზი.

გაურა

ტფილისში დაბეჯითებით გავრცელდა ხმა, რომ აბესალომ და ეთერი მშიჩის წესით გაეყარენ ერთმანეთს, ამიტომ ოპერის დირექციამ გადასწყვიტა დაითხოვოს ისინი ოპერიდან.

ახალი პიესა

მარჯანიშვილის თეატრისათვის კ. კალაძემ დასწერა ახალი ორიგინალური პიესა „ბათომიდან ქუთაისამდე“. პიესა მოწონებულია და მიღებულია დასადგმელად.

გადასვლა

რეჟისორ ახმეტელს გადაუწყვეტია „ანზორი“ გადაიყვანოს განუწყვეტელ დადგმაზე.

როლების განაწილება

სახკინმრეწვის რეჟისორებმა ამ უკანასკნელად გამოიტანეს დადგენილება იმის შესახებ, რომ სცენარისტებმა ქალთა როლები გაითვალისწინონ რეჟისორთა ცოლების ტიპების მიხედვით.

ახალი ოპერა

კომპოზიტორ შ. ბალანჩივაძეს დაუწერია ახალი ოპერა —მეფე-დედოფალიადა ანუ ცბიერი ოლიმპიადა“, როგორც დანამდვილებით ამბობენ, ეს ახალი ოპერა მეტის-მეტად შეუწყობს ხელს საოპერო თეატრის მუშათა მასებთან დაახლოვებას.

ახალი პიესა

ცნობილს მსახიობს და რეჟისორს იუზა ზარდალიშვილს დაუწერია ახალი ორიგინალური პიესა „ხაშურელი მეარღნე კიკიროზა“, დრამა 17 მოქმედებათ. პიესა პრემიერად წავა პირველად ხაშურის თეატრში თვით ავტორის რეჟისორობით და შემდეგ შეიძლება გაყიდვა. ფასი 15 მანეთი. მყიდველმა უნდა მიმართოს ავტორს ხაშურში.

„დამსახურებული მსახიობები“

ნახ. მარიაშის

მსოფლიო კომედიის („ერთა ლიგა“) მთავარი გმირები

„კინო-ვარსკვლავი“

(მეოცნებე ქალის დღიურიდან)

დღეს დილიდან საღამომდე ჩვეულებისამებრ სარკის წინ ვიტრიალე.

ყოველმხრივ ავსწონ-დავსწონე და გავსინჯე თავი-სი-თავი.

კიდევ უფრო ღრმად დავრწმუნდი, რომ მე კინო-ვარსკვლავად ვარ დაბადებული.

ჯერ არა სჩანს ჩემი კოლუმბი, რომელიც აღმომაჩენს მე—ამერიკას.

ჰო, მართლა, რა კარგია ამერიკა!

მე რომ ამერიკელი ვყოფილიყავ, ეხლა მოციმციმე ვარსკვლავი ვიქნებოდი მსოფლიო კინო-ვარსკვლავთა შორის. (ჩემთან მიქარვა იქნებოდენ მერი პიკფორდი, ლილიანა გიშ, ელენ რიხტერ და სხვები).

მე ყოველნაირ როლის შესრულება შემიძლია, მაგ.:

კაპრიზი ცოლი.

ჩემზე უფრო კაპრიზი განა შეიძლება სხვა იყოს! მე რომ ნერვები ამეშლება (უფრო სწორად: მე რომ ნერვებს ავიშლი), ქმარს ისე ვსცემ, როგორც უწინ სცემდენ მოსამსახურე გოგოებს.

ამას წინედ ბრაზმა მომიარა ქმართან ლაპარაკის დროს და დავამტვრიე ახალნაყიდი სერვიზი. (კინო-რეპეტიცია იყო; კინოშიაც ხომ ასე იციან?).

ქმარს თვალებს სტუმრებთან ისე ვუბრიალებ, რომ ყველას ჰგონია — ეს არის თვალებით გადაყლაპა ამ ქალმა თავისი ქმარიო!

კინოში ეჭვიანობაც არის საჭირო.

მაგრამ ამაში მე სხვა ვინ მაჯობებს!

მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი ჩემი საწყალი ქმარი სამსახურში არავის არ ეარშიყება (სადა აქვს მას ამისი შნო და უნარი!), მე მაინც შარს ვსდებ თითქოს ის მოანგარიშე ქალს ეარშიყება და ეტრფის. (ეს იმიტომ, რომ, ეგონოს, თითქოს ძალიან მიყვარს).

მიმიკის სხვადასხვაობაში პრინცილა დინიც ვერ შემედრება.

როცა სარკის წინ ვიცინი და ვცეკვავ, როგორც კი ბარებში სამსახურიდან დაბრუნებული ქმრის ფეხის-ხმა მომესმება, მაშინვე ლოგინში ვწვები და თავს ვიკატუნებ, თითქოს ავათა ვარ. სახე ჩამომიტირის; თვალებს ისე ვნაბავ, თითქოს 90 გრადუსი სიცხე მაქვს. (განა ეს კინო-მსახიობობა არ არის?!!).

კინოში საჭიროა ქმრის გაპამპულება და არშიყობა, (უამისოდ კინო არ ვარგა). ეს კი ჩემი ნამდვილი სპეციალობაა. ჩემს მოარშიყეებსა და კავალრებს ქმარს ნათესავებად ვაცნობ, (კინოა, მა რა ოხრობაა ეს?!).

კინოში ხშირად ხდება, როცა მთავარი მომქმედი პირი შვილებსა და ქმარს სტოვებს და სხვას მიჰყვება. მე ეს ცხოვრებაში გამომიცდია: ორი ქმარ-შვილი მივატოვე, და, იმედია ეხლანდელსაც მალე მივატოვებ. (ეს უკვე პროექტშია!).

არისტოკრატიულ როლებში საჭიროა ამპარტავნობა და „დიდ-კაცობა“. ამაშიც პირველი ვარ: არც ერთ მეზობელთან არ ვკადრულობ მეზობლობასა და დალაპარაკებას.

მიუხედავად იმისა, რომ სახლში ხშირად სადილის ფული არა გვაქვს, როცა სადმე მივდივარ, ყოველთვის ვყიდულობ შოკოლადს.

ტრამვაით წასვლას, ეტლით გასეირნება მირჩევნია. (რკინის გზაზე მაგარ ვაგონს რბილსა, ანდა საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონს ვამჯობინებ).

ვეწევი პაპიროსს. ვცეკვავ: ფოკსტროტს და ჩარლსტონს. ვსვამ ღვინოს (კაფე-შანტანის სცენა).

ვიცი ისტერიული ტირილი, როცა ქმარი ჯამაგირზე ვერ ყიდულობს ავმთვის კრებდიშინის კაბას. (ჩემს ასატირებლად კინოში არ არის საჭირო გლიცერინი და ხახვი).

სხვა სამსახურში ვერსად გამოვდექი.

აქედან დასკვნა: კინოში პირველი ვიქნები.

სადა ხარ, ჩემო კოლუმბო, რომ აღმომაჩინო ამერიკა!

ალბომიდან საიდუმლოდ გადმომწერი ისელი.

ხშირი მოვლენა

ნახ. ქოქიაშვილის

სამმოქმედებიანი პიესა „რევოლიუცია“

ნახ. მარიაშის

პირველი მოქმედება. მეორე მოქმედება. მესამე მოქმედება.

ოზურგეთის თეატრში

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და ჩვენი დახვედრა. კარგი ხანია მოგელოდით. ჟურნალ „ტარტაროზი“-თ ვიცოდით, რომ მზადდება სპეციალური ნომერი ხელოვნებაზე, და ამასაც ვგრძნობდით, რომ ჩვენ თეატრსაც გაჰკრავდით კბილს. მობრძანდით, ამ სალამოს უშვებთ პიესას, და თუ კი მოისურვებთ დარჩენას, თქვენს განკარგულებაში გადმოგცემთ მაზრის ხელისუფლების სკამებს. მაინც ცარიელია, ყველანი სოფლად არიან გასული, საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად! — მითხრა ოზურგეთის კლუბის გამგემ და სცენაზე ამიყვანა.

— სსს... ბევრს ნუ ლაპარაკობ შენ მაქ... დრამატიული წრე კი არა, არ ვიცი რა უწოდო. წრეში მე მიმუშავია, მაგრამ ასეთი კი არსად მინახავს. დანიშნავ რეპეტიციას ექვს საათზე; რვამდე არავინ გამოჩნდება. რვაზე დანიშნავ—ცხრამდე და ათამდე არ მოდიან. ათზე თუ დანიშნე, სულ არ მოვლენ.

—მასეთ მოტივებს არ მივიღებთ. შემდეგ მოგთხოვთ პასუხს. ეხლა დრო არ არის, რეპეტიცია უნდა გავიაროთ. გუშინ, რომ არ მოდით სამაგიეროთ დღეს გაგაცლ სიქას. — დაიწყო რეჟისორმა საკმაო ენერგიული ტონით, მაგრამ მალე შესცვალა კილო, ვინაიდან შეატყო, რომ ზოგიერთმა წრის წევრებმა მაგარი მუქარის შემდეგ მხრები აიწყვეს გასაქცევად.

— ამხანაგებო, არ ვარგა ასე. მარტო ჩემი, რეჟისორ კოლია კახიძის სირცხვილი კი არ არის, როცა როლები არ იცით და ისე გამოდიხართ სცენაზე, არამედ თქვენი სირცხვილიც არის. ეხლა ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ და რამოდენიმეჯერ გავიაროთ რეპეტიცია — და რეჟისორმა წრის სიას გადახედა.

— გაიოზ სად არის?

— გაიოზ, ამხ რეჟისორო, ამალამ არ იქნება, მისმა ამხანაგმა ცოლი შეირთო და იქ წავიდა

— ფაციე?

— ფაციეც იქ არის.

— ვანიჩქა?

— ვანიჩქა სად არის არ ვიცი, მხოლოდ ამალამ რომ ვერ მოვა, ეს კი ვიცი.

— არ მინდოდა არც თქვენი თეატრი და არც თქვენთან ნერვების გაფუჭება. საიდგანაც მოსულვარ იქით გზას ბარაქს დავაყრი — წამოიძახა რეჟისორმა, დაიხურა ქუდი და წასასვლელად მოემზადა.

დადგა ოზურგეთის თეატრის „კაბინეტის“ საშინელი კრიზისი, რომელის მსგავსი ამხ. კაკო ელენტისა და პაველე ფრანგიშვილის დროსაც არ ყოფილა.

საჭირო დარჩა პროფბიუროს წარმომადგენლის ჩარევა, და ეს როლი საუკეთესოდ შეასრულა ამხ. ბიჭიკო ღლონტმა. კრიზისი დაძლეული იქნა. გაუკეთდა მობილიზაცია ორ ახალგაზრდას იქვე ახლოს ჭადრების ძირში მჯდომარეთ და რეპეტიცია განახლდა.

— მიეცი პირველი ზარი! — გასცა განკარგულება თეატრის გამგემ.

— არ მისცე ზარი, როლები ჯერ სანახევროდ არ იციან! — შეაჩერა გამგე რეჟისორმა.

— ამხ. რეჟისორო, ჩვენ ზარი დაწყების დანიშნულ დროს მივსცეთ. მაყურებლები ჩვეულებისამებრ მეათე ზარზე თუ შემოვიდენ, ისიც კარგია, მანამდე კი ამზადეთ და ამზადეთ პიესა.

რეპეტიცია მორჩა, სცენა მზადაა, მაგრამ თეატრში არავინ მოდის.

— მიეცი ქუცუნია! ზარი! — უყვირა გაჯავრებულმა რეჟისორმა ადმინისტრატორს.

ადმინისტრატორმა დაუწყო ზარის რეკა და გაჯავრებულმა გადასძახა ჭადრების ძირში მოგროვილს და კოლექტიურ მეურნეობის გარშემო მობაასე ხალხს.

— ამხანაგებო, ამ ზარს ვერ მოვიტან და თვითეულს ყურში ვერ ჩაგრეკავ, როდესაც ვრეკავთ საერთოთ, ეს იმის ნიშანია, რომ მობრძანდეთ და თავიანთი ადგილი დაიკავოთ.

— ბიჭოს, აღარ ხუმრობენ! მართლა იწყება მგონი! — წამოიძახეს და ნელი ნაბიჯით გასწიეს თეატრისაკენ.

ტოქსინი.

ნახ. ტაბატაძის

მსახიობი (მსახიობ ქალს)—დღეს დარბაზი გაჭედილია, შემოსავალი ბევრი იქნება!

—ვერა ხედავ ხელში ყველას უფასო კონტრამარკები უჭირავთ!

უბინაო

ნახ. დონინის



დავით არსენიშვილი (სათეატრო მუზეუმის დირექტორი):

განგებამ მე გამაჩინა
მუზეუმისთვინა,—
მაგრამ არვინ შემობრალა,
არვინ მომცა ბინა.

ჟალობის ნაირგვარ

იმე, ბეჩა!

ზოგიერთ პროვინციის თეატრებში პრემიერის როლს თაქტიურად რეჟისორების მსახიობი - ცოლები ასრულებენ.

ხეკოხსენებულ ამბის გაგონებაზე მსახიობმა ქალმა „ნინიჩკამ", რომელიც სადებიუტო როლში ჯერ კიდევ არ გამოსულა და რომელიც მსახიობობასთან ერთად კიდეც პოეტობს, ასეთი ლექსი დასწერა:

ნეტავ ვიყო
თუნდ ერთი დღით
რეჟისორი!
ცოლი,
დასში არავინ იქნება
მაშინ ჩემი
ტოლი.
პრემიერშა
შევიქნები
ხელად,—
იმე, ბეჩა!
სულ ყველა ქვეშ
გამეგება,
ისე, როგორც ქეჩა
მართალს ვამბობ,
გენაცვალეთ,
მე არ მივდევ
ჭორებს
ყაკალ გულში
ვენაცვალე
„დუშკა" რეჟისორებს.

—:—

ეფექტი და ნაგავი,

ზოგიერთ კლუბებში ხალხს მტვერი და ნაგავი აბრჩობს. გამგეები კი უფრო ზრუნავენ ნარდის თამაშზე, რომლის შემდეგ გინება და მუშტი - კრივი იმართება.

ესმის რევოლიუცია
კულტურული
კლუბს, —
მტვერი ხშირად
ეფექტს აძლევს
(ნარდის შემდეგ)
ჩხუბს.

ტყიბულის თეატრში

— უი, ბეჩა კესარია, რაფერ გამოსულხარ ამ ულიცაში, შე დაღუპულო!

— იმფერ გამოვსულვარ, რომე კლუბში მივალ ამეღამ და სანამ წარმოდგენა დეიწყებოდეს, ქე გამევიძინებ პეტერას.

გიპასუხებთ

ზოგიერთ კლუბებში ისეთი სიცივეა, რომ ადამიანს თავი ურეტდება.

კლუბს, რომ კითხოთ,
გიპასუხებთ:
—დამნაშავე არის ტრესტი!
მძინარ კლუბის
მძინარ გამგეს
წავაფაროთ უნდა ყესტი;

—:—

განცხადება

შორაპნის რკინის გზის თეატრის გამგეობა, მუშა - მოსამსახურენი და მაყურებლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მუშკოოპის სახადილოში ქეიფის დროს ღვინით ავსებულ კვარტის ბოთლში მოულოდნელად ჩაიძირა და ტრაღიოულად დაიღუპა მსახიობი კოლამან

ცერეცოვი
(ცერეცო)

სამტრედიის რკინის გზის მუშა - მოსამსახურენი აცხადებენ, რომ მოულოდნელად დაკარგა მიმდინარე წლის სათეატრო

სეზონი

პიესები მოკლე, ანტრაკტები გრძელი

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში (რუსთაველის პროსპექტზე) ანტრაქტები ხშირად მთელი საათობით გრძელდება.

მწარე არის მოზარდ
მაყურებლის ბედი
პიესის ლოდინში
დგახარ, როგორც სვეტი
ანტრაქტებში ხშირად
საათები გადის
ეწამება ვინც აქ
საყურებლად დადის
პიესები მოკლე,
ანტრაქტები გრძელი
ეზმანებათ ბავშებს
ლოგინ — სარეცელი.

—:—

მუშტი--კრივის კურსები

ჰიათურის აკადემიური თეატრის გამგეობა აცნობებს, საზოგადოებას, რომ წასული წლის ნოემბრიდან ჰიათურაში გაიხსნა მუშტი-კრივის კურსები; კურსები მოთავსებულია აკადემიურ თეატრის შენობაში. მეცადინეობა სწარმოებს რეჟისორ პ. ფრანგიშვილის ხელძღვანელობით და ამავე თეატრის მსახიობთა უშუალო მონაწილეობით. მსმენელთა ჩაწერა გრძელდება.

დაიკარგა

ბათომის აკ. თეატრის გამგეობა და მუშა - მოსამსახურენი აცხადებენ, რომ თბილისში მოგზაურობის დროს უგზო - უკვლოდ დაიკარგა მსახიობი

კირილე მაჭარაძე

დარჩენილი სათეატრო მასალები დაიბეჭდება „ტარტაროზი"-ს

შემდეგ ნომერში

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ტარტაროზი

ოპერის „განძი"

ნახ. ნადარეიშვილის

ტარტაროზი:—გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, შორს გადავყაროთ ეს ხარა-ხურა!

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას" გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319